



**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**  
**საქართველოს სახელით**  
**საჯარო შეტყობინების განხორციელების შესახებ**

საქმე №2ბ/581-11

18 მაისი, 2011 წელი  
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლო  
სამოქალაქო საქმეთა პალატამ  
შემდეგი შემადგენლობით:  
თავმჯდომარე: ირაკლი ადგიშვილი  
მოსამართლეები: თინათინ ეცადაშვილი  
გოდერძი გიორგიშვილი

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა – ი/მ ირინე ბზიკაძეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 თებერვლის განჩინების სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა იხილავს სს “პრივატბანკი”-ს შუამდგომლობას ი/მ ირინე ბზიკაძის მიმართ, შპს „სამოქალაქო საქმეთა მუდმიბმოქმედი არბიტრაჟის“ 2010 წლის 14 დეკემბრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თობაზე. მოწინააღმდეგე მხარეს – ი/მ ირინე ბზიკაძეს რამოდენიმეჯერ გაეგზავნა ზემოაღნიშნული განჩინება თანდართული მასალებით სასამართლო სხდომის შესახებ, მაგრამ აღნიშნულ პირზე განჩინების ჩაბარება ვერ მოხერხდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამის სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარე ი.მ ირინე ბზიკაძეზე განჩინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სააპელაციო პალატა თვლის, რომ მას საჯარო შეტყობინებით უნდა ეცნობოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლიუს განცინების შესახებ.

სააპელაციო პალატა თვლის, რომ საჯარო შეტყობინება უნდა გავრცელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე განჩინების გამოქვეყნების გზით.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 390-ე მუხლებით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ეცნობოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 თებერვლის განჩინების თაობაზე, რომლითაც “მოწინააღმდეგე მხარეს – ი/მ “ირინე ბზიკაძეს” გაეგზავნოს განცხადებისა და თანდართული საბუთების ასლები და განემარტოს, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის თანახმად, იგი უფლებამოსია, ამ განჩინების გადაცემიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში წარმოადგინონ შესაგებელი (მოსაზრებები) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით, კერძოდ, მიუთითონ:

ა. ხომ არ ხდის სადაოდ საარბიტრაჟო შეთანხმების მხარის ქმედუნარიანობას;

ბ. იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მითითებულია საარბიტრაჟო შეთანხმებაში, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ხომ არ არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი;

გ. იყო თუ არა სათანადო წესით ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან ხომ არ არსებობდა საპატიო მიზეზი, რის გამოც ვერ მიიღო მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვაში;

დ. ხომ არ არის საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილი იმ დავის შესახებ, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით ან ხომ არ ეხება ისეთ საკითხს, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს;

ე. ხომ არ მიაჩნია, რომ არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს;

ვ. ხომ არ ხდის სადაოდ, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში”

2. განემართოს ი.მ ირინე ბზიკაძეს, რომ სასამართლოს განჩინება მისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების განხორციელებიდან მეშვიდე დღეს;
3. განჩინების გამოქვეყნება განხორციელდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებ-გვერდზე.
4. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე:

/ირაკლი ადეიშვილი/

მოსამართლეები:

/თინათინ ეცადაშვილი/

/გოდერძი გიორგიშვილი /